# სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტური გაერთიანების დებულება

**მუხლი 1.ზოგადი დებულებები**

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის თვითმმართველობა - სტუდენტთა გაერთიანება (შემდგომში „კსგ“) წარმოადგენს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ფაკულტეტების მიხედვით ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების გზით არჩეულ სტუდენტთა ერთობლიობას.
2. კსგ-ს მართვის ორგანოა წევრთა საერთო კრება.
3. კსგ შედგება 15 წევრისგან
4. კსგ-ს შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრი. საპატიო წევრი შეიძლება იყოს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომლის განცხადებასაც განიხილავს კსგ წევრთა საერთო კრებაზე და იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით.
5. კსგ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო აქტების, სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
6. კსგ-ს მისამართია: თბილისი, 0108, ალ. გრიბოედოვის ქ. 8/10, აუდიტორია N215.

**მუხლი 2. ძირითადი მიზნები და ამოცანები**

1. სტუდენტების სწავლის და სწავლების დონის ამაღლებაზე ზრუნვა;
2. სტუდენტების ინტერესების დაცვა და წარმოდგენა კონსერვატორიის მართვის ორგანოებში;

3. სტუდენტების ხელშეწყობა, მათი კანონიერი ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლების, დაცვა/განმტკიცება;

4. სტუდენტების დახმარება მაღალკვალიფიციური განათლების მიღებასა და თვითრეალიზებაში;

5. სტუდენტების ხელშეწყობა სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარჩვევების გამომუშავებაში და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში;

6. კონსერვატორიაში სტუდენტთა მონაწილეობით სასწავლო პროცესის დახვეწასა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა;

7. სტუდენტთა ხელშეწყობა დასვენების, ყოფის, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, სხვადასხვა აქტივობებით სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებისათვის *(მათ შორის: სხვადასხვა თემატიკისა და მიზნობრიობის კონცერტების გამართვა (კსგ-ს აქვს უფლება წელიწადში 12-ჯერ ჩაატაროს კონცერტები კონსერვატორიის მცირე დარბაზში), ექსკურსიების დაორგანიზება, სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი კლუბების ჩამოყალიბება, შემოქმედებითი, სპორტული, გასართობი ღონისძიებების/შეჯიბრების/თამაშების დაგეგმვა-ორგანიზება, სხვა სახელოვნებო უსდ-ებთან კოლაბორაციის გზით პროექტების დაგეგმვა/წარმართვა და ა.შ.).*

**მუხლი 3. სტრუქტურა**

1. კსგ-ს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.

2. კსგ შედგება საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების გზით, 1 წლის ვადით ფაკულტეტების მიხედვით ფარული კენჭისყრით არჩეული 15 წევრისაგან.

*შენიშვნა: კსგ საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილია ორივე ფაკულტეტიდან მინიმუმ 12 წევრით, მათ შორის* საშემსრულებლო ფაკულტეტიდან მინიმუმ 8 წევრით *დაკომპლექტების შემთხვევაში*;

3. კსგ-ს წევრები იკრიბებიან საჭიროებისამებრ. სხდომის მოწვევის უფლება აქვს თავმჯდომარეს ან კსგ-ს არანაკლებ 1/3-ს.

4. კსგ-ს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კსგ-ს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში მოიწვევა ახალი სხდომა, რომელიც უფლებამოსილია, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

5. კსგ-ს სხდომის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 1 დღით ადრე.

6. კსგ უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს საქმიანობის პრიორიტეტები;

ბ) კონსერვატორიის სტუდენტებიდან აირჩიოს წარმომადგენლები ფაკულტეტის საბჭოში;

გ) იმსჯელოს კსგ-ს რომელიმე წევრის გარიცხვის საკითხზე დებულების დარღვევის, უფლება-მოვალეობების შეუსრულებლობის და კსგ-ს სხდომის ჩატარების ხელშეშლის შემთხვევაში;

დ) განიხილოს და დაამტკიცოს პროექტები და სამოქმედო გეგმა კსგ-ს წევრთა სიითი უმრავლესობით;

ე) წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი უფლებამოსილია დასვას თავმჯდომარის გადაყენების საკითხი თუ ის ვერ ასრულებს მისთვის დებულებით განსაზღვრულ მოვალეობებს. თავმჯდომარის იმპიჩმენტისთვის საჭიროა სიითი შემადგენლობის 2/3-ის თანხმობა.

ვ) წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობას შეუძლია ცვლილებები შეიტანოს კსგ-ს დებულებაში. კენჭისყრისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

ზ) კსგ-ს სხდომებს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო სხდომის ოქმებს აფორმებს სხდომის მდივანი.

თ) კსგ-ს ევალება სტუდენტებთან უშუალო ურთიერთობა, პასუხი გასცეს მათ შეკითხვებს და დახმარება გაუწიოს მათ;

ი) ჰქონდეს მესამე პირებთან ურთიერთობა;

კ) გააცნოს სტუდენტებს სხვადასხვა სახის ინიციატივები და სიახლეები.

**მუხლი 4. კსგ-ს თავმჯდომარე**

1. თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს და ხელმძღვანელობს კსგ-ს საქმიანობას;

2. თავმჯდომარე აირჩევა 1 წლის ვადით საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების გზით ფარული კენჭისყრით კსგ-ს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. თავმჯდომარე არის კსგ-ს წევრი.

4. კსგ-ს თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება კსგ-ს მორიგი არჩევნების შედეგების დამტკიცებისთანავე.

5. კსგ-ს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თავმჯდომარის არჩევა ხდება დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

6. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

დ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;

ე) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ვ)კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

7. თავმჯდომარის კომპეტენციები:

ა) კსგ-ს სახელით, კანონმდებლობით დადგენილი წესით სტუდენტების ინტერესების წარდგენა კონსერვატორიის მართვის ორგანოებსა და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წინაშე;

ბ) კსგ-ს საქმიანობის წარმართვა;

გ) კსგ-ს წარუდგენს დაგეგმილი ღონისძიების პროექტს, სადაც დეტალურად უნდა იქნეს განსაზღვრული წევრთა უფლება-მოვალეობები პროექტის განსახორციელებლად;

დ) ზედამხედველობას უწევს კონკრეტული პროექტისათვის მოზიდული სახსრების მიზნობრივ ხარჯვას;

ე) ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის თაობაზე ანგარიში წარუდგინოს კსგ-ს;

ვ) ახორციელებს სხვა საქმიანობას, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით და კსგ-ს დებულებით;

**მუხლი 5. კსგ-ს არჩევნები**

1. კსგ-ს არჩევნები ტარდება ყოველი წლის გაზაფხულზე.

2. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კონსერვატორიის ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს.

3. არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების გზით - თითოეული სტუდენტი ირჩევს თავისი მიმართულების წარმომადგენელს:

**საშემსრულებლო ფაკულტეტიდან** წარმოდგენილი უნდა იყოს 11 წევრი:

**პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“**

კლავიშიანი საკრავები - 2

საორკესტრო სიმებიანი საკრავები - 2

საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები - 2

აკადემიური გუნდის დირიჟორობა - 2

სოლო აკადემიური სიმღერა - 2

**პროგრამა „ჯაზის ხელოვნება“:**

ჯაზის ხელოვნება - 1

*შენიშვნა: შესაბამის პროგრამაზე/ებზე კანდიდატურის არარსებობისა და ვაკანტური ადგილის/ების დარჩენის შემთხვევაში, წევრის/ების დამატება შესაძლებელია განხორციელდეს ფაკულტეტის სხვა პროგრამიდან არჩეული, საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატისაგან/კანდიდატებისგან.*

**კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტიდან** წარმოდგენილი უნდა იყოს 4 წევრი.

**პროგრამა „მუსიკა და დღევანდელობა“**

მუსიკა და დღევანდელობა - 1

**პროგრამა „კომპოზიცია“**

კომპოზიცია – 1

**პროგრამა „მუსიკის თეორია“**

მუსიკის თეორია - 1

*შენიშვნა:* კსგ-ში კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტიდან მეოთხე წევრი შეიძლება გახდეს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის ნებისმიერი პროგრამის წარმომადგენელი, რომელიც არჩეული წევრების შემდგომ, პირველი იქნება დაგროვებულ ხმათა უმრავლესობის მიხედვით.

4. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების საერთო რაოდენობის 1/3-ზე მეტი. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში იმართება განმეორებითი არჩევნები, რომელიც უფლებამოსილია, მიუხედავად მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობისა.

5. თითოეული მიმართულების წარმომადგენლებს ირჩევენ იმავე მიმართულების
სტუდენტები.

6.კსგ განახლებას (შევსებას) ექვემდებარება წევრის მიერ კსგ-ს დატოვების შემთხვევაში დაემატება ის სტუდენტი, რომელმაც არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და არარჩეული კანდიდატებიდან ყველაზე მეტი ხმა მიიღო. დამატებული სტუდენტი და ის წევრი, რომელიც დატოვებს კსგ-ს, უნდა წარმოადგენდნენ ერთსა და იმავე მიმართულებას. ხსენებული კანდიდატის არარსებობის შემთხვევაში ინიშნებიან უფლებამონაცვლეები მორიგ, ლეგიტიმურ არჩევნებამდე.

7. არჩევნები უნდა გამოცხადდეს ერთწლიანი ვადის გასვლამდე.

8. სტუდენტებს არჩევნების დანიშვნის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ არანაკლებ 2 კვირით ადრე. კსგ-მ უნდა უზრუნველყოს წევრობის მსურველთა შეკრება და სტუდენტებისთვის ახალი კსგ-ს წევრობის კანდიდატთა პროგრამების გაცნობა.

ელ.მისამართი: students-union@tsc.edu.ge

FB.: https://www.facebook.com/tscstudentsunion